პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1920 □ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან □ 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ—ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ კვირა 12 ნოემბერი 1978 წ. □ № 265 (17309) □ ფასი 2 კაპ.

## კომუნისტური შრომის საწარმოში

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა — კომუნისტური შრომის საწარმო — ერთერთი მოწინავეა რესპუბლიკის კვების მრეწველობის სისტემაში. მისმა კოლექტივმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის მესამე წლის ათი თვის გეგმა, ხოლო ბევრმა მუშაკმა უკვე პირადი წლიური გეგმები გაანაღდა. მათ შორის არიან ჩაის მანქანის მედაზგეები გ. პაპულაშვილი (მარცხნივ) და ნ. ქაჯაია, რომლებსაც ამ ფოტოსურათზე ხედავთ.

ხ. კილაძის ფოტო.



# დაუშრეტელი ენერგიით!

რამდენიმე დღის წინათ ვიდღესასწაულეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდამეერთე წლისთავი. საბჭოთა ადამიანების მეხსიერებაში ჯერ კიდევ არ განელებულა ზეიმით მიღებული შთაბეჭდილებები.

დიდი ოქტომბრის სამოცდამეერთე წლისთავის ზეიმის დღეებში კიდევ ერთხელ თვალნათლივ გამოჩნდა საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება თავისი დიდი სამშობლოსადმი, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, რომლის ნათელი მიზანი, გეზის სისწორე და პოლიტიკის ძლიერება მთლიანად და სავსებით შეესაბამება მშრომელთა ინტერესებს. სწორედ ამიტომ პარტიის ყოველი დავალების განუხრელი შესრულება მათ თავიანთ ღვიძლ საქმედ მიაჩნიათ. ამის დამადასტურებელია ის წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია წელს — მეათე ხუთწლედის ნახევარი მიჯნის გავლის შემდეგ, როცა ჩვენს ქვეყანაში უდიდესი აღმავლობით აღინიშნა ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავი, როცა ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები ძალ-ღონეს არ ზოგავენ მატერიალური სიუხვის შექმნისათვის, იჩენენ თაოსნობას, ეძებენ ახალ გზებს და ამით უდიდესი წვლილი შეაქვთ ქვეყნის წარმატებებში, მისი ეკონომიკისა და სულიერ ფასეულობათა განმტკიცებაში.

სწორედ მეათე ხუთწლედის მესამე წლის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს მშრომელთა თავდადებულ ბრძოლას ასახავდა 7 ნოემბერს მოზეიმე თბილისში საოქტომბრო მანიფესტაციების კოლონების თავზე ამაყად მოფრიალე ტრანსპარანტები. საოქტომბრო სოციალისტურმა შეჯიბრებამ კიდევ უფრო გააქტიურა ჩვენი ძალები, ხელი შეუწყო ადამიანთა ინიციატივისა და თაოსნობის შემდგომ განვითარებას.

ვის არ ახარებს ქართველი მეჩაიეების წლევანდელი გმირული გარჯა, მეჩაიეებისა, რომლებმაც მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 430 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ვის არ გვრის სიამაყის გრძნობას ქართველი მევენახეების გამარჯვება, რომლებმაც სახელმწიფოს მარანში უკვე მიიტანეს 570 ათას ტონაზე მეტი ყურძენი და საქართველოს ცხოვრებაში პირველად გადააბიჯეს ნახევარმილიონიან ზღურბლს.

ეს შესანიშნავი შრომითი ნობათები თავისით არ მოსულა. საჭირო იყო ათასობით და ათიათასობით მშრომელთა ნებისა და ძალის ერთ საერთო ძალად შეკვრა, ერთი მიზნით წარმართვა, რომ ყველაფერი მატერიალურ დოვლათად ქცეულიყო.

და ამას სათავეში ედგა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ მოწინავე, ნამდვილად მებრძოლ რაზმს წარმოადგენს.

განსაკუთრებული სიამაყითა და სიხარულით აღვნიშნეთ ქართველ ჰიდრომშენებელთა დიდი გამარჯვება. ამუშავდა ენგურჰესის პირველი აგრეგატი, რომელმაც პირველი სამრეწველო დენი მისცა ჩვენს ენერგოსისტემას. ეს არის ამიერკავკასიაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა ინტერნაციონალური კოლექტივის მრავალი წლის მუხლჩაუხრელი შრომის ბრწყინვალე ნაყოფი.

ამ უდიდეს სიხარულს კიდევ უფრო აორკეცებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება ენგურჰესის მშენებლებისადმი.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევის მისალმების სიტყვები ახალი ენერგიითა და ცეცხლით აღანთებს მათ. გასაკეთებელი ენგურჰესელებს კიდევ ბევრი აქვთ — წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს კიდევ ორი აგრეგატი და სადგურის სიმძლავრემ 780 ათას კილოვატს უნდა მიაღწიოს. ეჭვი არ არის, რომ სახელოვანი ჰიდრომშენებლები ამ ამოცანასაც წარმატებით გადაჭრიან.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრება და გამოცდილება მოწმობს, რომ მხოლოდ თავისუფალ, დიადი კომუნისტური იდეალებით აღჭურვილ ადამიანს თუ შეეძლო მიეღწია ასეთი წარმატებებისათვის. მხოლოდ საბჭოთა ადამიანს შეუძლია იამაყოს იმით, რომ მილიონობით მის თანამოსაქმეთა დაუშრეტელი შრომით ჩვენს სამშობლოში აშენდა პირველი განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ამ საზოგადოების დროშაზე კი ოქროს ასოებით არის წარწერილი — ბრძოლა კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ნამდვილი დემოკრატიზმი და ჰუმანიზმი ვლინდება და ხორცს ისხამს საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლის საქმიანობაში. მშობლიური კომუნისტური პარტიის უდიდესი მუშაობა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სრულყოფის დარგში დაგვირგვინდა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებით, რომელმაც ნათლად განსაზღვრა და დააკანონა ახალი საზოგადოების წევრთა უფლებანი და მოვალეობანი.

პარტიული ორგანიზაციების სადღეისო, გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ სათავეში ჩაუდგეს ხალხის პოლიტიკურ აქტივობას და ხელი შეუწყოს საბჭოთა ადამიანების ნიჭისა და ინიციატივის განვითარებას კომუნისტური მშენებლობის საქმის გამარჯვებისათვის.

ახლა ყველაზე მთავარია უზრუნველვყოთ ხუთწლედითა და სოციალისტური ვალდებულებით დასახული მიჯნების მიღწევა თითოეულ საწარმოსა და კოლექტივში, თითოეულ ბრიგადასა და ცვლაში... ამისათვის კი ყოველი მოქალაქე, სამშობლოს ნამდვილი პატრიოტი უნდა შრომობდეს და იღვწოდეს მხოლოდ დაუშრეტელი ენერგიით.

## გამოიცა ქართულ ენაზე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოუშვა კრებული „ლ. ი. ბრეჟნევის მოგზაურობა ბაქოში". კრებულში შევიდა მასალები აზერბაიჯანის დედაქალაქისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ დღესასწაულობაში მონაწილეობისათვის 1978 წლის 18-დან 25 სექტემბრამდე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ბაქოში მოგზაურობის შესახებ.

კრებული დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში. (საქინფორმი).

# დამკვრელურ ნელინადს — დამკვრელური შრომა!

## მიზანი: პარტიის, ხალხის სამსახური

### ეხმაურებიან ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა ახალ წიგნს — „ყამირს"

## დიდი შენაძენი

როგორც ახალი წიგნი „ყამირი", ისე „მცირე მიწა" და „აღორძინება" საბჭოთა ადამიანის სულიერი კულტურის დიდი შენაძენია.

ვეცნობით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამ ახალ წიგნს — „ყამირს" და თითოეული სტრიქონი ახლობელია ჩვენთვის, რადგან ჩვენ თვითონ ათჯერ მაინც ვართ ყამირზე ნამყოფი. დაუვიწყარია ჩვენთვის ის დიდი სახალხო გმირობა, რომელიც საბჭოთა ხალხმა გამოიჩინა პურეულის პრობლემის გადაჭრისათვის. მშობლიური კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ყამირზე მომუშავეთათვის შეექმნა ნორმალური სამუშაო პირობები და უზრუნველეყო დიდი გამარჯვება.

ახლა როცა ყველაფერი კეთდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წიგნი — „ყამირი" ფასდაუდებელი მნიშვნელობის შენაძენია. ეს წიგნი პარტიისა და ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე მშრომელთა აღზრდის გაძლიერების დიდი საშუალებაა.

სამშობლო არასოდეს დაივიწყებს ყამირის იმ სახალხო გმირებს, რომლებმაც არ დაზოგეს მთელი ენერგია იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეეტანათ მარცვლეულის პრობლემის კარდინალური საკითხების გადაჭრისათვის.

ჩვენ მომავალშიც კვლავ ახალი ენერგიით ვიმუშავებთ ყამირზე მოსავლის ასაღებად.

ზ. ზურაშვილი,
წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის მექანიზატორი;

ვ. ნასრაშვილი,
ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მექანიზატორი, ყამირელები.

## ყამირელებისათვის დაუვიწყარი...

ახლა, როცა ხელთ გვაქვს ლეონიდ ილიას ძის ახალი ნაწარმოები — „ყამირი", ჩემს მოგონებებში ერთხელ კიდევ ნათლად წარმოდგა დაუვიწყარი 1957 და 1958 წლები, როცა საქართველოდან წარგზავნილ სხვა ახალგაზრდებთან ერთად ვმონაწილეობდი ყამირის ათვისებაში.

ვკითხულობ ლეონიდ ილიას ძის დიდი სიყვარულით გამთბარ სტრიქონებს და ვრწმუნდები, რომ არ არსებობს ისეთი ციხესიმაგრე, რომლის აღება საბჭოთა ადამიანებს არ შეეძლოთ. ტიტანური შრომა, რომელსაც კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, პირადად ლ. ი. ბრეჟნევი ეწევიან მშრომელთა კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, თავის კეთილისმყოფელ ნაყოფს უკვე იძლევა. როგორ შევიძლიათ აუღელვებლად წაიკითხოთ სიტყვები: „ჩემი ცხოვრების მანძილზე არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ ჭეშმარიტი გმირები ყოველდღიურ ვითარებაში, ჩვეულებრივ, მოკრძალებულნი, თითქმის შეუმჩნეველნი არიან. ისინი უბრალოდ და უსიტყვოდ აკეთებენ თავიანთ საქმეს." და მეც მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენი დღეების სწორედ ეს გმირები აგებენ კაცობრიობის ნათელ მომავალს — კომუნიზმს.

ა. გოხუა,
ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

## „გელათს" — ხარისხის ნიშანი

ზუგდიდი. (საქ. კორ.). ამ დღეებში ღვინის კომბინატის კოლექტივმა სასიხარულო ცნობა მიიღო: მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ერთ-ერთ სახეობას — „გელათს" ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა.

ეს წარმატება კომბინატელთა მუშაობის დადებითი შეფასებაა. მათ პროდუქციის რეალიზაციის ათი თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. შრომის ნაყოფიერება შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 40,5 პროცენტით გაზარდეს, რეალიზაციისა კი — 87,5 პროცენტით.

— ჩვენი საწარმო მომზადებული შეხვდა ბარაქიან რთველს, — გვითხრა კომბინატის დირექტორმა ფ. წყაროზიამ, ვიბრძვით ყურძნის უდანაკარგოდ მიღება-გადამუშავებისა და კიდევ ერთი სახეობის პროდუქციის ხარისხის ნიშანზე წარდგენისათვის.

გ. ნოდია.

## პირველ ადგილზე

ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ და პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრების 1978 წლის მესამე კვარტალის შედეგები. მათ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს და პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნეს ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივს.

წარმატებით აღფრთოვანებულმა სალოკომოტივო დეპოს კოლექტივმა ახალი ძალით გააჩაღა შეჯიბრება ტვირთზიდვის დაჩქარებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 61-ე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს მემანქანეებმა გ. მიქელაძემ, ბ. შანიძემ, ა. ხუჯაძემ და სხვებმა.

ივ. ბუხაიძე.

## ჭრელი ფილები

თერჯოლა. (საქ. კორ.). სხვადასხვა ფერის კარგი წიბოების მაღალხარისხოვან იატაკის ფილებზე მშენებელთა დიდი მოთხოვნაა. ჩხარელი კერამიკოსები, რომლებიც ამ სახის პროდუქციას აწარმოებენ, მრავალ მადლობის წერილს ღებულობენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან.

სამი წელია კერამიკოსებს, ქარხნის რეკონსტრუქციის მიუხედავად, რეკლამაცია არ მიუღიათ, ისინი რიტმულად ასრულებენ საწარმოო დავალებებს.

## ამბროლაურელთა ნობათი

ამბროლაურის რაიონის მევენახეებმა ვალდებულება ვადაზე ადრე შეასრულეს. 9 ნოემბრისათვის მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 3320 ტონა ყურძენი, ვალდებულებით კი უნდა მოეკრიფათ 3300 ტონა.

ყურძნის კრეფა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა გრძელდება. ეს „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. შარაბიძემ, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ჩიტალაძემ.

## პროგრესული მეთოდით

„საქტყეთესლსელექციის" მშრომელებმა წელს უნდა გამოიყვანონ 1.860 ათასი სხვადასხვა სახის ნერგი, ფაქტიურად 9 ნოემბრისათვის მიღებულია 2.242 ათასი ცალი ნერგი, აქედან 12 ათასი მარტო კაკლის ნერგია.

პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა შესრულდა 100,1 პროცენტით, რეალიზაციისა — 115,4 პროცენტით, ხოლო მოგების — 140,8 პროცენტით. წარმოებაში დაინერგა სათბურში კაკლის კალმით მყნობის მეთოდი, რისთვისაც კოლექტივი დაჯილდოვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სიგელით. ეს „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს საწარმოს დირექტორმა გ. ვაწაძემ, პარტორგანიზაციის მდივანმა გ. თოფურიამ.

## საბჭოთის ახალი ამბები

ცელინოგრადი, 11 ნოემბერი. (საქდესი). დღეს ახალმოსახლეობას იხდიან „სტეპნოგორსკის" საბჭოთა მეურნეობაში. კეთილმოწყობილი ბინების გასაღები მიიღო მეურნეობის ათმა საუკეთესო მექანიზატორმა — მოსავლის აღებაში გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებმა. ისინი იცხოვრებენ ცალკე კოტეჯებში, ექნებათ საკარმიდამო ნაკვეთები, ხუთწლედის დამლევისათვის ასეთ სახლებს მიიღებს ყაზახეთის ყამირზე მოწინავე საბჭოთა მეურნეობის ყველა მუშაკი, ვისაც საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ენდომება. ახალი კოტეჯები ოლქის ასზე მეტ დასახლებულ პუნქტში შენდება.

სიმფეროპოლი, 11 ნოემბერი. (საქდესი). შემოქმედებითი თანამეგობრობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი მწერალთა საოლქო ორგანიზაციისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხის მშენებელთა კოლექტივებმა. ხელშეკრულებამ განამტკიცა მათი ძველი მეგობრობა, რომელსაც ნიადაგ ამუქებენ ალმანახ „ყირიმის" ფურცლებზე. მრავალი პროფესიის წარმომადგენლები მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებების მთავარი პერსონაჟები გახდნენ. ლიტერატორთა და მშენებელთა მიერ შედგენილ ვრცელ პროგრამაში არის კოლექტიური წიგნის გამოშვება ხელოვნური მდინარის შემქმნელებზე.

## დავაჩქაროთ რთველი

### ვინ როგორ ასრულებს სიტყვას, ვალდებულებას

„სამტრესტის" ცნობებით 11 ნოემბრისათვის (ტონობით)

| რაიონები | 1978 წლის გეგმა | 10 ნოემბერს მოიკრიფა | სულ მოკრეფილია |
|---|---|---|---|
| ზესტაფონის | 2500 | — | 22060 |
| თერჯოლის | 21000 | — | 19617 |
| მაიაკოვსკის | 16000 | — | 13089 |
| ვანის | 15650 | 43 | 9579 |
| კასპის | 8100 | — | 6467 |
| საჩხერის | 5800 | 26 | 5692 |
| ორჯონიკიძის | 5500 | 95 | 5373 |
| გორის | 4070 | 5 | 4121 |
| ცაგერის | 4500 | 251 | 3055 |
| გეგეჭკორის | 2200 | 22 | 1195 |
| ზუგდიდის | 1900 | 3 | 806 |
| ჭიათურის | 1800 | 83 | 1821 |
| ონის | 300 | 7 | 288 |
| აფხაზეთის ასს რესპუბლიკის | 8200 | — | 6359 |
| აჭარის ასს რესპუბლიკის | 1800 | — | 1790 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | 1100 | 20 | 618 |

□ 10 ნოემბერს მოიკრიფა 561 ტონა ყურძენი.

□ რესპუბლიკის მარნებმა მიიღეს 570.197 ტონა ყურძენი.

□ ეს შარშანდელ ამ პერიოდს 163.829 ტონით აღემატება.

# მადლობა შენდა, ცოდნის ტაძარო!

**გუშინ თბილისში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.**

უნივერსიტეტი, როგორც ტაძარი, ბექობზეა გაშენებული. ვარაზისხევზე წამომართული ბორცვიდან მთელი არემარე მოჩანს, და აქ ამოსულ კაცს თვალწინ გადაეშლება მთელი ქალაქი, მთები, მას რომ აკრავს გარს, და მაღალი ცა. ამ მთებს რომ დაჰნათის, მაგრამ ამ მაღლობს სხვა დანიშნულებაც აქვს: ისე მაღლა ატაროს უნივერსიტეტის სახელი, რომ თბილისიც და მთელი საქართველოც მუდამ ხედავდნენ მას: აი იგი, ჩვენი სიამაყე, ჩვენი დიდება, ჩვენი მომავალი.... მაღლობი სჭირდებათ ტაძრებს, სჭირდებათ იმიტომ, რომ მუდამ იყვნენ ადამიანის სულიერი თვალსაწიერის არეში და ეუბნებოდნენ: აი ის დონე, რომელსაც შენ უნდა ესწრაფოდე.

მრავალი წლის წინათ ორი გუმბათი, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მთავარი ფასადის სახურავიდან რომ გადმოგვყურებენ, პლანეტის კონტინენტების რელიეფებით დაამშვენეს. პროსპექტზე—მან რამდენიმე სახელი გამოიცვალა, მაგრამ სამუდამოდ დარჩა ჩვენთვის უნივერსიტეტის მაგისტრალად — ცოტა ზემოთ, მეორე კორპუსის გუმბათიდან ცად ტელესკოპის ჭოგრი აწვდილიყო. უნივერსიტეტი თვალსაწიერს უფართოებდა საქართველოს, რათა მისთვის სამყარო დაენახვებინა, და სამყაროსათვის დაენახვებინა გონებისა და სულის მაღალი მწვერვალებისაკენ მიმსწრაფი ეს პატარა ქვეყანა, პროგრესისა და გაზაფხულის მოახლოების, ცხოვრების განახლების, ჭეშმარიტების ძიების უწმინდეს წყურვილს რომ შეეპყრო. ეკი შეძლო კიდეც, შეძლო იმდენად, რომ დღეს ყოველი მოაზროვნე ადამიანისათვის იგი განუყოფელია საბჭოთა საქართველოსაგან, მისი კულტურის, მისი სულის, მისი აყვავებისაგან.

უნივერსიტეტი მათთვის უფრო მეტია, ვიდრე რამდენიმე ფაკულტეტი, ასობით სახელოვანი მეცნიერი და ათასობით სტუდენტი. იგი შენადნობია ინტელექტისა, კონცენტრაციაა ქართველი ერის საუკეთესო მამულიშვილთა, იმ მოღვაწეთა აზრის, ენერგიის, მრწამსის და იმედებისა, რომლებიც უზენაეს ბედნიერებად რაცხდნენ ელვაწათ მამულისათვის. სწორედ მათ აღამაღლეს უნივერსიტეტი და გაუტოლეს უდიდეს ტაძრებს — არა მარტო გამონახეს კარგი ადგილი, ჩაუყარეს საძირკველი და ამოუყვანეს კედლები — არამედ გადააქციეს კიდეც იგი ცოდნის, კულტურის კერად, აუღორძინეს და აუხდინეს ხალხს უმაღლეს სკოლაზე მრავალსაუკუნოვანი ოცნება.

უნივერსიტეტი ქართული საბჭოთა უმაღლესი სკოლის თავიდათავი და სათავე, დედაბოძია. მთელი ეს ექვსი ათწლეულია რესპუბლიკის საზრუნავითა და საფიქრალით სულდგმულობს. მხარში უდგას პარტიასა და ხალხს და მათთან ერთად კვალავს ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნის გზას. იგი ჭეშმარიტად უმაღლესი სკოლა გახდა თანამედროვეობის ყველა წამყვან მეცნიერებასა და საბჭოთა ადამიანის უმთავრეს მეცნიერებაში, მამულიშვილობის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის მეცნიერებაში.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი რესპუბლიკის ცხოვრების ბევრი ღირსსახსოვარი მოვლენის მომსწრეა. ჯერ არ მიმცხრალა საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეებისათვის გამართული ტაშისცემის ექო, და დარბაზში შეიკრიბნენ მეცნიერების, ცოდნის, ახალგაზრდობის დიდი დღესასწაულის სტუმარ-

(დასასრული მე-2 გვ.)



სურათზე: [illegible]

ხ. კილაძის ფოტო.

# მადლობა შენდა, ცოდნის ტაძარო!

(დასასრული)

მაშინძელნი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმობის მონაწილენი.

სასიქადულო თარიღის ალსანიშნავად მოვიდნენ ქართველი სწავლულები-ისინი, ვინც ქართული უმაღლესი სკოლის დედასასწავლებლის სათავეებთან იდგა, ისინი, ვინც დღეს უფროსი თაობის სახელოვან ტრადიციებს განავრძობს და ღირსეული წვლილი შეაქვს სამამულო მეცნიერების განვითარებაში, ზრდის ახალგაზრდა სპეციალისტებსა და მეცნიერებს.

თბილისში ზეიმობის მონაწილეებად ჩამოვიდნენ ცნობილი საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერები და პედაგოგები, საბჭოთისა და სოციალისტური ქვეყნების მოძმე უნივერსიტეტების წარმომადგენლები.

დარბაზში შემოვიდნენ თბილისის უნივერსიტეტის ნამოწაფარნი და ალსაზრდელნი — სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები, ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც ამაყად ატარებენ საქართველოს უძველესი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის სახელს.

ზეიმობაზე მოვიდნენ სახელოვანი ...

... კოვისა და სხვა რუსული უნივერსიტეტები, რომელთა კედლებში ქართული ინტელიგენციის მთელი თაობები აღიზარდა.

დიდი ილია ამბობდა: რუსულმა სკოლამ და რუსულმა მეცნიერებამ განათლების გზა გადაგვიხსნეს და მოგვცეს საზრდო გონებისა, გაგვანათლესო.

რუსეთის უნივერსიტეტებში მიიღეს სწავლა-განათლება გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა: ივანე ჯავახიშვილმა, პ. პეტრიაშვილმა, ღ. ბაქრაძემ, ნ. მარმა, პ. მელიქიშვილმა, ე. თაყაიშვილმა, ა. შანიძემ, შ. ნუცუბიძემ, გ. ახვლედიანმა, ი. ყიფშიძემ.

კომუნისტური პარტია, ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო, ახორციელებდნენ რა კულტურული რევოლუციის ლენინურ გეგმას, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ თბილისის უნივერსიტეტის ფეხზე დაყენებისა და განვითარებისათვის. ჩვენ ნიადაგ ვგრძნობთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამაშვილურ ...

## მოგონების ფურცელი

## უნივერსიტეტების მეგობრობა

### ჩვენი სტუმრები



სტუმრებში: მარცხნიდან — ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ვ. მილერი, ოდესის ი. მეჩნიკოვის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი. ვ. სერდიუკი, აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ფ. ბაგირ-ზადე, ყაზახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი უ. ჯოლდასბეკოვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი დ. ჩხიკვიშვილი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ამბარცუმიანი, ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ტ. სარიმსაკოვი, ბრატისლავის კამენსკის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი იან კრასნიჩკა.

ს. კილაძის ფოტო.

# მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურებისათვის

# საპატიო წოდებათა მინიჭება

### პარტიული ცხოვრება: ანგარიშება-არჩევნები

# გარდაქმნათა მიღმა...

# საზღვარგარეთული ცხოვრება

საქდესი იტყობინება

# კომუნისტის ბრძნული წიგნი

### გაზეთი „რუდე პრავო" ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა შესახებ

პრაღა, 11 ნოემბერი. (საქდესი). ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებები „ყამირი" — ეს არის ამაღელვებელი ნაამბობი მამაც, გულად, თავდადებულ, მტკიცე და უდრეკ საბჭოთა ადამიანებზე. იგი გამსჭვალულია თითოეული პატიოსანი ადამიანის პატივისცემით, მისდამი სიყვარულითა და ნდობით, მისი ძლიერებითა და ვაჟკაცობით აღფრთოვანების გრძნობით, მისი პოლიტიკური სიმწიფის მაღალი შეფასებით, წერს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „რუდე პრავო".

„მცირე მიწისა" და „აღორძინების" შემდეგ გამოვიდა ლ. ი. ბრეჟნევის ახალი მოგონებანი. ადამიანები დიდად აფასებენ არა მარტო ნაწარმოების მხატვრულ ღირსებებს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტური მოღვაწის გამჭრიახობასა და სიბრძნეს, რომელიც ყაზახეთის უკიდეგანო ველებზე გიგანტურ, რთულსა და ძნელ შეტევაში ზუსტად განსაზღვრავს საბჭოთა ხალხის განუზომელი შემოქმედებითი ძალის ძირითად და გადამწყვეტ წყაროებს.

თავის წიგნში, წერს „რუდე პრავო," ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აანალიზებს რთულ პირობებში პარტიული მუშაობის მეთოდებს. სწორედ ამიტომ არის, რომ ავტორის მთელი ყურადღება ადამიანებს ეთმობა. ამ მოგონებებიდან და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინა წიგნებიდან ჩანს, რომ ავტორს ემარჯვება რამდენიმე სტრიქონით დაგვიხატოს ადამიანთა ზუსტი პორტრეტი. იგი ხედავს და წარმოსახავს ადამიანს მოძრაობაში, კონფლიქტურ სიტუაციაში, გვიჩვენებს მის შინაგან თვისებებსა და ღირსებებს.

წიგნი „ყამირი", ხაზს უსვამს გაზეთი, შეიცავს ბევრ აზრს, ფაქტსა და გამოცდილებას, რომლებიც აუცილებლად უნდა გავიაზროთ, მოვიხმაროთ, შევიგნოთ როგორც დიდი გაკვეთილი. უეჭველია, რომ ისევე როგორც „მცირე მიწა" და „აღორძინება", წიგნი „ყამირი" მარტო საბჭოთა საზოგადოების ყურადღების ცენტრში არ იქნება. ეს კომუნისტის ბრძნული წიგნია.

## ერთგულების 60 წელი

ათენი, 11 ნოემბერი. (საქდესი). „მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულების 60 წელი" — ამ ლოზუნგით გაიხსნა აქ გამოფენა, რომელიც საბერძნეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავს ეძღვნება. სტენდებზე გამოფენილია დოკუმენტები, პირველი გაზეთების ასლები, პროკლამაციები, აფიშები, ფოტოსურათები, რომლებიც ასახავენ საბერძნეთის მუშათა მოძრაობას წარმოშობის მომენტიდან დღემდე. გამოფენაზე დოკუმენტურად არის ნაჩვენები მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბერძენ კომუნისტთა ბრძოლის ეტაპები, მათი საქმიანობა ჰიტლერული ოკუპაციისადმი წინააღმდეგობის წლებში, აგრეთვე სამხედრო დიქტატურის პერიოდში.

გამოფენა გახსნა საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხარილაოს ფლორაკისმა.

## კვიპროსს — მშვიდობიანი მოწესრიგება

ნიუ-იორკი, 10 ნოემბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მოითხოვა დაუყოვნებლივ გაიყვანონ კვიპროსის რესპუბლიკის ტერიტორიიდან უცხოეთის მთელი შეიარაღებული ძალები და სამხედრო პერსონალი. რეზოლუციაში, რომელსაც ხმა მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების დიდმა უმრავლესობამ, გამოთქმულია „კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და მიუმხრობლობის პოლიტიკის სრული მხარდაჭერა", აგრეთვე მოწოდება, რომ შეწყდეს მის საშინაო საქმეებში გარედან ყოველგვარი ჩარევა. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ და ეფექტიანად შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი კვიპროსის შესახებ, როგორც ქმედითი საფუძველი კვიპროსის პრობლემის მოწესრიგებისათვის.

## შეთითხნილი ბრალდებით

ბეირუთი, 11 ნოემბერი. (საქდესი). ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალნი განაგრძობენ პალესტინელ პატრიოტთა წინააღმდეგ ტერორის კამპანიას. ქალაქ ერიქაში მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე ისრაელის სამხედრო ტრიბუნალმა ცნობილ პალესტინელ ადვოკატსა და ქალაქის მუნიციპალიტეტის წევრს იუსეფ მარარს მიუსაჯა ორი თვის პატიმრობა „ისრაელ პოლიციელზე თავდასხმის" შეთითხნილი ბრალდებით. პროვოკატორას დასმენის შედეგად თექვსმეტ თვეს გაატარებს ისრაელის დილეგებში აბდელკადირ შერიფი.

# ინგლისის პარლამენტში

ლონდონი, 10 ნოემბერი (საქდესი). ინგლისის პარლამენტის თემთა პალატამ უარყო კონსერვატიული ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი ლეიბორისტული მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის შესახებ. მთავრობის მხარდასაჭერად გამოვიდა 312 პარლამენტარი, 300-მა წინააღმდეგ მისცა ხმა.

კენჭისყრას წინ უძღოდა მრავალი დღის კამათი დედოფლის სიტყვაში ჩამოყალიბებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში მთავრობის საქმიანობის პროგრამის უმნიშვნელოვანეს ასპექტებზე. მასში აღნიშნულია, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობას თავის ერთ-ერთ ძირითად საგარეო-პოლიტიკურ ამოცანად მიაჩნია საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან კონსტრუქციული ურთიერთობის განვითარება.

კამათის დროს მწვავედ გააკრიტიკეს მთავრობის კურსი ეკონომიკის დარგში, რომელიც, როგორც ხაზგასმით აღნიშნა შოტლანდიის ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა გ. დეისმა, არ უწყობს ხელს უმუშევრობისა და ინფლაციის პრობლემათა გადაჭრას. მშრომელთა ხელფასის ზრდის მკვეთრი შეზღუდვის მთავრობისეული გეგმების წინააღმდეგ გაილაშქრეს ლეიბორისტმა ე. ჰეფერმა და მთელმა რიგმა სხვა პარლამენტარებმა.

# ჯ. კარტერის პრესკონფერენცია

ვაშინგტონი, 10 ნოემბერი. (საქდესი). კანზას-სიტში გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა გამოთქვა აზრი, რომ კონგრესის შუალედური არჩევნების შედეგები არ მოახდენს გავლენას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების რატიფიკაციაზე სენატში.

დემოკრატიულმა პარტიამ, თქვა მან, შეინარჩუნა ადგილების 60 პროცენტზე მეტი წარმომადგენელთა პალატაში, ადგილების 60-მდე პროცენტი სენატში, გუბერნატორის პოსტების დაახლოებით 60 პროცენტი.

რაც შეეხება რესპუბლიკელი სენატორების არჩევასა და მათს ზემოქმედებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების რატიფიკაციაზე, თქვა შემდეგ პრეზიდენტმა, მე იმედი მაქვს, რომ ლიბერალებიც, კონსერვატორებიც, დემოკრატებიც და რესპუბლიკელებიც მხარს დაუჭერენ საბჭოთა კავშირთან შეთანხმებას, რომელიც შეზღუდავს ბირთვული ომის საფრთხეს მომავალში. არა მგონია, რომ ამა თუ იმ პარტიის წევრობამ რაიმე როლი შეასრულოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების მიღებასა თუ რატიფიკაციაში.

პრეზიდენტი შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთ ასპექტს. ინფლაციის პრობლემასთან დაკავშირებით მან დაადასტურა ადმინისტრაციის განზრახვა გაატაროს სახელმწიფო ხარჯების შემცირების კურსი, კერძოდ, ხელფასის გაყინვის გზით. ამასთანავე, კარტერმა ერთ-ერთი კორესპონდენტის კითხვის პასუხად განაცხადა, რომ სამხედრო ხარჯები კვლავინდებურად გაიზრდება.

# იტალიელ კომუნისტთა პოზიცია

რომი, 10 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ ტელევიზიით გამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ე. ბერლინგუერი, რომელმაც დაახასიათა იტალიის კომპარტიის პოზიცია მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საშინაო-პოლიტიკურ პრობლემებზე.

იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ იტალია მძიმე კრიზისს განიცდის და მის დასაძლევად საჭიროა მთელი დემოკრატიული ძალების თანამშრომლობა. იტალიელი კომუნისტები გაბედულად გამოდიან ისეთი მოქმედების წინააღმდეგ, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მთავრობის კრიზისი, რაც კიდევ მეტად გაამწვავებს ქვეყნის რთულ პრობლემებს. ამავე დროს, თუ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ერთპარტიული მთავრობა, რომელიც პარლამენტის უმრავლესობის მხარდაჭერას ეყრდნობა, კომპარტიის მონაწილეობით, არ შეასრულებს დემოკრატიული პარტიების მიერ შემუშავებული საპროგრამო შეთანხმების დებულებებს, მოსალოდნელი მთავრობის კრიზისისათვის პასუხისმგებლობა ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას დაეკისრება.

ე. ბერლინგუერმა განაცხადა აგრეთვე, რომ ამჟამად კომპარტიამ დაიწყო თავისი ყრილობისათვის აქტიური მზადება.

ფოტო ამხილებს



პარიზის ოთხი ათასზე მეტი მშრომელთა ოჯახი ცხოვრობს ბინის დაკარგვის მუდმივი შიშით. საპოლიციო უბნებში მათზე შექმნილია საგანგებო დოსიები რეზოლუციით „გასახლებულ იქნას ბინის ქირის გადაუხდელობის გამო". ადგილობრივი პრესის ცნობით, წლეულს შემოდგომის დადგომამდე სახლების მეპატრონეებმა პოლიციის დახმარებით უკვე გაყარეს ქუჩაში 1.786 უმუშევრისა და დაბალხელფასიანი მუშების, სტუდენტების, პენსიონერებისა და ხანდაზმულ ადამიანთა ოჯახები. სიძვირის გამუდმებული ზრდის პირობებში მათ აღარ შეუძლიათ საფრანგეთის დედაქალაქში ცხოვრება. ყოველწლიურად საცხოვრებელი ფართობის ყოველი კვადრატული მეტრი 10-15 პროცენტით ძვირდება. სურათზე ხედავთ თუ როგორ გამოთქვამენ პროტესტს პარიზის სენ-პოლის ქუჩაზე მდებარე სახლიდან მობინადრეების ძალით გაყრის გამო.

საქდესის ფოტოქრონიკა.

მოკლედ

## ყოველი მხრიდან

*11 ნოემბერი*

### მწვავე კრიზისი

რომი. მწვავე კრიზისი დაუდგა იტალიის სამშენებლო მრეწველობას. ანსას სააგენტოს ცნობით, 1971 წლიდან დღემდე ეკონომიკის ამ დარგში 350 ათასი სამუშაო ადგილი გაუქმდა. როგორც პრესა აღნიშნავს, იტალიის სამშენებლო მრეწველობის მკვეთრი დაქვეითება ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისის შედეგია.

### ამაო ცდა

ოტავა. მიმდინარე წელს კანადის მთავრობამ 4 მილიარდზე მეტი ამერიკული დოლარი მოახმარა კანადის ვალუტის კურსის სტაბილიზებას საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე. მაგრამ ამ ღონისძიებებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ამერიკულთან შედარებით კანადური დოლარის კურსი ყველაზე დაბალ დონეზე დაეცა 1933 წლიდან და ახლა შეადგენს 85,13 ამერიკულ ცენტს.

### იზრდება ინფლაცია

ბრაზილია. წლევანდელ ოქტომბერში ინფლაციის ზრდამ ბრაზილიაში 2,9 პროცენტი შეადგინა. ოფიციალური მონაცემებით, განვლილ 12 თვის მანძილზე ცხოვრების ღირებულება ქვეყანაში 41,4 პროცენტით გაიზარდა. როგორც ფინანსთა მინისტრმა მარიო ე. სიმონსენმა აღიარა, — ინფლაციის დონის 30 პროცენტამდე შემცირება — მიზანი, რომელიც მთავრობამ დაისახა მიმდინარე წლის დამდეგს, განუხორციელებელი დარჩა. მოელიან, რომ მისი ზრდა 40 პროცენტს მაინც მიაღწევს.

### გაკოტრებული ფირმები

ტოკიო. 17 პროცენტით და მეტად გაიზარდა იაპონიის გაკოტრებული ფირმების რიცხვი ოქტომბერში, იუწყება საწარმოთა კრედიტუნარიანობის შემოწმების სააგენტო. მისი მონაცემებით, ოქტომბერში გაკოტრდა 1. 387 ფირმა, რაც მოწმობს, რომ ქვეყანაში სულ უფრო ღრმავდება ეკონომიკური კრიზისი.

### სერიოზული უთანხმოებანი

ბონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი სავაჭრო მოლაპარაკებაზე რ. სტრაუსი, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოგზაურობს, აქ შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ჰ. შმიდტსა და მეურნეობის მინისტრს ო. ლამბსდორფს. შეხვედრის დროს განიხილეს, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და „საერთო ბაზრის" სერიოზული სავაჭრო უთანხმოებანი, რომლებიც დროლადრო მეტად მწვავე ხასიათს იღებს.

### ახალი წევრები

ნიუ-იორკი, 11 ნოემბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ იამაიკა, ზამბია, ნორვეგია, ბანგლადეში და პორტუგალია აირჩია უშიშროების საბჭოს დროებით წევრებად ორი წლის ვადით. 1979 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ისინი შეცვლიან კანადას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ინდოეთს, მავრიკიასა და ვენესუელას, რომლებსაც რწმუნებათა ვადა მიმდინარე წლის 31 დეკემბერს გაუდით.

### შეიჭრნენ ნიკარაგუელი გვარდიელები

სან-ხოსე. 11 ნოემბერი. (საქდესი). როგორც კოსტა-რიკის მთავრობა იუწყება, ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ ნიკარაგუის ეროვნული გვარდიის ნაწილები. ისინი თავს დაესხნენ ნიკარაგუელ ლტოლვილებს, რომლებიც კოსტა-რიკაში გამოექცნენ ტერორს, დიქტატორმა სომოსამ რომ დაატეხა თავს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს.

# ი. ა. შევარდნაძე



1978 წლის 8 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე იპოკრატე ამბროსის ძე შევარდნაძე.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ დაკარგა შესანიშნავი კომუნისტი, რომელიც ორმოცი წლის მანძილზე ღირსეულად ატარებდა პარტიის წევრის სახელს, თვალსაჩინო მუშაკი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა პარტიასა და მშობლიურ ხალხს, კომუნისტურ მშენებლობას, ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ი. ა. შევარდნაძე დაიბადა 1917 წლის 26 იანვარს ლანჩხუთის რაიონის სოფ. მამათში, მასწავლებლის ოჯახში. 1936 წელს წარმატებით დაამთავრა მახარაძის ძეჩაიეობის ტექნიკუმი. მუშაობდა მამათის ჩაის ფაბრიკის ოსტატად. 1937 წლის ნოემბრიდან კომკავშირულ სამუშაოზეა — ჯერ ლანჩხუთის რაიკომის ინსტრუქტორად, შემდეგ — განყოფილების გამგედ, რაიკომის მდივნის მოადგილედ.

დიდი სამამულო ომის წლებში ი. ა. შევარდნაძე პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა საბჭოთა არმიის მოქმედ ნაწილებში. 1943-45 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის ფრონტის, ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის, აგრეთვე მე-13 მსროლელთა კორპუსის შტაბებში, განყოფილების უფროსის თანაშემწედ.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ ი. ა. შევარდნაძე პარტიულ სამუშაოზეა. 1948 წელს წარმატებით ამთავრებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ რესპუბლიკურ პარტიულ სკოლას და ინიშნება პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის განყოფილების გამგედ. 1951 წელს, მუშაობის მოუწყვეტლივ, წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

სხვადასხვა დროს ი. ა. შევარდნაძე მუშაობდა პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პროპაგანდის განყოფილების გამგედ, ამავე რაიკომის მდივნად, ოქტომბრის რაიკომის მეორე მდივნად, 1954 წლიდან კი ამ რაიკომის პირველი მდივანია.

1956 წლიდან ი. ა. შევარდნაძე გადაჰყავთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში, სადაც მუშაობს პასუხისმგებელ ორგანიზატორად, განყოფილების გამგის მოადგილედ, განყოფილების გამგედ. 1963 წლიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს ინსპექტორია, შემდგომ კი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე.

1972 წლის ოქტომბრიდან ი. ა. შევარდნაძე იყო საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

რესპუბლიკის კომუნისტები ამხანაგ იპოკრატე შევარდნაძეს იცნობდნენ როგორც საქმის ღრმა მცოდნე, დაკვირვებულ, გამოცდილ მუშაკს. საყოველთაოდ იყო ცნობილი მისი კრისტალური სიწმინდე, პარტიული პრინციპებისადმი ერთგულება, მოშთხოვნელობა, შეუპოვრობა. იგი ყოველთვის იყო იმათ პირველ რიგებში, ვინც მოურიდებლად და მტკიცედ იბრძოდა რესპუბლიკის ცხოვრებაში არსებული ნაკლოვანებების წინააღმდეგ. ამასთან, მას ახასიათებდა სამაგალითო თავმდაბლობა, გულისხმიერება, სითბო, ობიექტურობა. ყოველივე ამან ი. ა. შევარდნაძეს მოუპოვა რესპუბლიკის ერთ-ერთი ავტორიტეტული პარტიული მუშაკის სახელი.

იგი არაერთგზის იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის, პარტიის თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტების შემადგენლობაში. იყო რესპუბლიკის ოთხი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სახალხო დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატი.

ი. ა. შევარდნაძე სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციასთან. შვიდი წლის მანძილზე, პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის პოსტზე მუშაობისას, მან ბევრი რამ გააკეთა დედაქალაქის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის, საქალაქო პარტიული ორგანიზაციის განმტკიცებისათვის. იგი ახალგაზრდა მუშაკებს უანგაროდ უზიარებდა და გადასცემდა თავის დიდ გამოცდილებასა და ცოდნას.

ი. ა. შევარდნაძემ დიდი ამაგი დასდო საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას, მისი სრულყოფის, განვითარების, რესპუბლიკის მუშათა კლასის ღირსეული ცვლის აღზრდის საქმეს. ი. ა. შევარდნაძის უშრეტი ენერგიით აღსავსე მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული ის წარმატებები, რომლებიც უკანასკნელ წლებში ამ სფეროში იქნა მოპოვებული და რამაც ამ სისტემის ავტორიტეტი შესამჩნევად განამტკიცა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასეს ი. ა. შევარდნაძის დამსახურება და იგი დააჯილდოვეს ორი შრომის წითელი დროშის და საპატიო ნიშნის ორდენებით, მედლებით.

იპოკრატე ამბროსის ძე შევარდნაძის მთელი ცხოვრება შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორი ერთგულებითა და თავდადებით, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით უნდა ემსახუროს კომუნისტი მშობლიურ პარტიას, სამშობლოს, ხალხს. მისი სახელი მუდამ ემახსოვრებათ ამხანაგებს, კოლეგებს, ახალგაზრდობას.

ა. ა. ბულგაკოვი, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ქ. ა. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჟითანავა, ს. ვ. ხაბეიშვილი, ვ. ა. საიუშევი, ა. ნ. ოსიპოვი, გ. ვ. გედინეიშვილი, ე. ა. სეხნიაშვილი, ნ. ვ. გურგენიძე, გ. თ ლომჯანიძე, ო. დ. ქინქლაძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ი. ო. ანდრიაძე, მ. ა. ასლანიკაშვილი, ვ. ვ. ოსეპჩუკი, კ. ტ. მიქიაშვილი, დ. ვ. როგავა.

სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

**იპოკრატე ამბროსის ძე შევარდნაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრი, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ყოფილი მეორე მდივანი

**იპოკრატე ამბროსის ძე შევარდნაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი კომენტარი

# არჩევნები უარჩევანოდ

### არჩევნების შედეგები ამერიკაში: ვითარება უცვლელი რჩება

არჩევნების წინ ჯ. კარტერმა წამოიწყო 17-დღიანი პროპაგანდისტული მოგზაურობა 13 შტატში, რომელიც მიზნად ისახავდა დემოკრატიული პარტიის წარმატების უზრუნველყოფას. პრეზიდენტი საკმაოდ ოპტიმისტურად გამოიყურებოდა და ყოველგვარი ცრუ-თავმდაბლობის გარეშე ამტკიცებდა, რომ კემპ-დევიდში მიღწეული შეთანხმების შემდეგ მისი პოპულარობა „მნიშვნელოვნად გაიზარდა". მიუხედავად ამისა დემოკრატიული პარტიის ზოგიერთმა კანდიდატმა (მაგალითად, ბილ ბრედლიმ ნიუ-ჯერსის შტატიდან) უარი განაცხადა კარტერის მხრიდან მხარდაჭერაზე, რომელიც, მათი აზრით, მარცხს მოაწევდა.

მიუხედავად ამისა, არჩევნების შედეგები მეტ-ნაკლებად სასიკეთო აღმოჩნდა დემოკრატებისათვის: მათ სენატში მხოლოდ სამი ადგილი დაკარგეს (და ახლა 58 ხმა აქვთ 100-დან), ხოლო წარმომადგენელთა პალატაში დათმეს 12 მანდატი (275 ადგილი 435-დან). კიდევ ექვსი გუბერნატორის პოსტი გადავიდა რესპუბლიკელების ხელში. ამრიგად, მიუხედავად ერთგვარი წარუმატებლობისა, დემოკრატები მტკიცედ ინარჩუნებენ უმრავლესობას ძირითად საკანონმდებლო ორგანოებში.

ამავე დროს, უკვე აღნიშნული მცირეოდენი ცვლილებები უნდა მოასწავებდეს ერთგვარ შემობრუნებას ამერიკის საზოგადოებრივ აზროვნებაში. შესაძლოა, დემოკრატების წარუმატებლობა უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, რესპუბლიკელებს რომ მეტი ენერგიულობა და აქტიურობა გამოეჩინათ, მაგრამ საგარეო პოლიტიკის საკითხებში მათ უყოყმანოდ გაიზიარეს თეთრი სახლის თვალსაზრისი, ხოლო საშინაო პოლიტიკაში ვერავითარი ალტერნატივა ვერ მოუნახეს „ინფლაციისა და ცხოვრების დონის ამაღლების წინააღმდეგ" შემუშავებულ კარტერის გეგმას, რომელიც ფაქტიურად უარყო ამერიკელთა დიდმა უმრავლესობამ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პროგრამის სრული განხორციელების შემთხვევაშიც კი, მისი ავტორი მეტად მოკრძალებულ მიზანს ისახავდა — ინფლაციის დაქვეითებას მხოლოდ ერთი პროცენტით (უკანასკნელ წელს ინფლაციამ 10 პროცენტს მიაღწია). ამასთან ვაშინგტონის ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა უმუშევრობის მნიშვნელოვანი შემცირება (ამჟამად უმუშევართა რიცხვი თითქმის 6 მილიონს შეადგენს), ვერ შეძლო გადასახადების „სამართლიანი სისტემის" შექმნა.

გადასახადები მძიმე ტვირთად პირველ რიგში „საშუალო ამერიკელს" აწევება. ასე მაგალითად, ის ოჯახები, რომელთა შემოსავალი არ აღემატება 5000 დოლარს წელიწადში, იხდიან ამ თანხის 7,8 პროცენტს, ხოლო ისინი, ვინც ყოველწლიურად იღებენ 40 ათას და მეტ დოლარს, იხდიან საშუალოდ ამ თანხის 4,3 პროცენტს.

ყოველივე ეს, მიუხედავად უკანასკნელ წლებში ამერიკის ეკონომიკის ერთგვარი გამოცოცხლებისა, ქმნის ახალი კრიზისის შესაძლებლობას და პოლიტიკურ სფეროში წარმოშობს ხელსაყრელ პირობებს დემოკრატების მოწინააღმდეგეთა წარმატებისათვის, მაგრამ რესპუბლიკელებმა ვერ გამოიყენეს ის შესაძლებლობანი არა იმიტომ, რომ მათ პოლიტიკური გამოცდილება ან სურვილი აკლდათ, არამედ პირველ რიგში იმიტომ, რომ მათ დღესაც ვერ დაუღწევიათ თავი იმ ღრმა შინაპარტიულ კრიზისს, რომელიც წარმოქმნა მარცხმა ვიეტნამის ომში და უოტერგეიტის საქმემ.

ჯერ კიდევ არჩევნებამდე გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი" აღნიშნავდა: „პოლიტიკური ლიდერები ქვეყნის ყველა რაიონში აღიარებენ საარჩევნო კამპანიისადმი საზოგადოებრივი ინტერესის შესუსტების ფართო გავრცელებას". ამას არ უარყოფდა არც ამერიკის პრეზიდენტი: „თუ 1960 წელს არჩევნებში მონაწილეობდა ხმის მქონე ამერიკელთა ორი მესამედი, ახლა ორი მესამედი თავს იკავებს ხმის მიცემისაგან".

ამიტომ ამომრჩეველთა აქტივიზაციის მიზნით მეტოქეები ძალღონეს არ იშურებდნენ: მთელ რიგ შტატებში ხმის მიცემის პროცედურამ რეფერენდუმის ხასიათი მიიღო. ასე, მაგალითად, ორეგონის შტატში ამომრჩევლებს პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე: სურთ თუ არა გადასახადების შემცირება უძრავ ქონებაზე და სიკვდილით დასჯის აღდგენა.

ყოველივე ამან მართლაც გამოიწვია ერთგვარი გამოცოცხლება ამომრჩეველთა შორის, მაგრამ შტატების უმრავლესობაში მათი დიდი ნაწილი (ნახევარზე მეტი) მაინც არ გამოცხადდა საარჩევნო უბნებში. რადგანაც კარგად ესმოდათ, რომ არჩევნები თავიდანვე არჩევანს მოკლებული იყო.

ამერიკაში ჩვეულებრივად დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ „შუალედ არჩევნებს". ორწლიანი მსვლელობაში ირჩევენ წარმომადგენელთა პალატის მთელ შემადგენლობას, სენატორებისა და გუბერნატორების ერთ მესამედს (ამჯერად, შესაბამისად, 35 სენატორსა და 36 გუბერნატორს), საკანონმდებლო ორგანოებს შტატებში, მაგრამ არა პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს, ე. ი. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს. როგორც ცნობილია, შეერთებული შტატები საპარლამენტო კი არა, არამედ საპრეზიდენტო რესპუბლიკაა და მთავრობის ფორმირება ევალება პრეზიდენტს, რომელსაც კონსტიტუციის ძალით უდიდესი უფლებები ენიჭება. ამიტომ არჩევნების მსვლელობაში ყურადღების ცენტრი ყოველთვის პრეზიდენტობის კანდიდატის პიროვნებაზეა გადატანილი.

მიუხედავად ამისა, „შუალედი არჩევნები" წარმოადგენენ ისეთ პოლიტიკურ კამპანიას, რომელიც როგორც ბარომეტრი გვიჩვენებს საზოგადოებრივი ამინდის შესაძლებელ ცვლილებებს უახლოეს მომავალში. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ვაშინგტონის დღევანდელმა ადმინისტრაციამ ერთგვარი გაფრთხილება მიიღო ამომრჩეველთაგან, რომლებმაც არაორაზროვნად მოაგონეს თეთრი სახლის პატრონს, რომ მისი „გუნდის" „თაფლობის თვე" კარგა ხანია ჩაბარდა ისტორიას.

ამომრჩეველთა აპათიას და გულგრილობას მრავალი პოლიტიკური საკითხის მიმართ კარგად იყენებს რეაქცია და სამხედრო სამრეწველო კომპლექსი, რომელიც ზრდის საკუთარ გავლენას შეერთებული შტატების მმართველ წრეებში.

ამ ტენდენციამ, როგორც ცნობილია, გამოიწვია შეფერხება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომი ნორმალიზაციის გზაზე. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიკის სინამდვილეში პარტიულობა, ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი საკმაოდ პირობითი ცნებებია და ისინი მხოლოდ იმ პოლიტიკური თამაშისათვისაა შემოღებული, რომელსაც „ძირითადი" თუ „შუალედი არჩევნები" ეწოდება.

**ედ. მენაბდე,**

„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

# ირანის ამბები

### მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები გრძელდება

თეირანი, 10 ნოემბერი. (საქდესი). ირანში კვლავ გამძაფრებულია ვითარება, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშნულია გენერალი გულიამ რეზა აზხარი და ჩამოყალიბდა სამხედრო მთავრობა, რომელშიც თავიანთ პოსტებზე დარჩნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. აფშარ-კასემლუ, სამხედრო მინისტრი არმიის გენერალი რ. აზიმი და შინაგან საქმეთა მინისტრი ა. ყარაბაღი.

ქვეყნის ქალაქებსა და პროვინციებში გრძელდება მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები. არ ცხრება საგაფიცვო მოძრაობის ტალღა, რომელმაც ირანის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგები გაჩერა. თეირანში დაკეტილია უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები, არ მუშაობს ტრანსპორტი. სულ უფრო მეტად იგრძნობა ძირითადი სასურსათო პროდუქტების ნაკლებობა, დაუვა პურის დიდი რიგები. შეფერხებით ხორციელდება ბენზინით მომარაგება. დედაქალაქში მდგომარეობას კონტროლს უწევენ ჯარები, ძირითად მაგისტრალებს პატრულობენ ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. ყუმში მრავალათასიანი დემონსტრაციის გასარეკად ცრემლსადენი გაზი და ცეცხლსასროლი იარაღი იხმარეს.

ირანის შაჰმა ახალი მთავრობის წევრთა მიღებისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა კორუფციისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, და მან წინადადება მისცა ამ მიზნით შექმნან სპეციალური ტრიბუნალი.

კორუფციისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ბრალდებით უკვე დაპატიმრებულია იმ პირთა დიდი ჯგუფი, რომლებსაც მნიშვნელოვანი პოსტები ეკავათ წინა მთავრობებში. კერძოდ, დაპატიმრებულია ირანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ა. ა. ჰოვეიდა, რომელიც 13 წლის განმავლობაში მეთაურობდა ქვეყნის მთავრობას, ხორასნის პროვინციის გენერალ-გუბერნატორი ვალიანი, ინფორმაციისა და უშიშროების ორგანიზაციის ყოფილი უფროსი ნასირი, აგრეთვე სადრი, რომელსაც წინათ პოლიციის უფროსის პოსტი ეკავა, ყოფილი მინისტრები ვაჰადი, სადეკიანი, ტასლიმი, ხომაიუნი, აზმუნი და სხვები. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ასეთ პირთა დაპატიმრებას განაგრძობენ.

სამხედრო მთავრობამ გუშინდელი სხდომის შემდეგ ბრძანება გასცა გამოკვლეინათ „მფლობითათვები" და მათ წინააღმდეგ დასჯის მკაცრი ზომები ეხმარათ. სამხედრო ხელისუფლებამ სცადეს გადაებირებინათ რელიგიური ლიდერები და გამოაცხადეს, რომ „სიმშვიდისა და უშიშროების აღდგენის" სპეციალურ კომიტეტებში შეყვანილი არიან სამღვდელოების წარმომადგენლები. მაგრამ ოპოზიციურმა ეროვნულმა ფრონტმა ამის პასუხად ხალხს მოუწოდა გააფართოონ ქვეყანაში საგაფიცვო მოძრაობა და მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები. ფრონტის ლიდერმა კ. სანჯაბიმ, რომელიც ორი კვირის მანძილზე იყო პარიზში, სადაც მოლაპარაკება ჰქონდა ირანის სხვადასხვა ოპოზიციური ძალების წარმომადგენლებთან, დაბრუნებისას განაცხადა, რომ ირანში მღელვარება იქამდე გასტანს, სანამ არ შეიქმნება მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესების გამომხატველი „ეროვნული მთავრობა".

ვაშინგტონი, 10 ნოემბერი. (საქდესი). აქ გაიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსწავლე ირანელი სტუდენტების ორგანიზაციათა წარმომადგენლების პრესკონფერენცია. მისმა მონაწილეებმა შეერთებული შტატების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ბრალად დასდეს ირანის ოპოზიციური მოძრაობის ნამდვილი ხასიათის გაუკუღმართება. პრესკონფერენციაზე გამოსულებმა ხაზი გაუსვეს, რომ ირანის ახლანდელი ამბები პოლიტიკური და სოციალური ხასიათისაა, და არა რელიგიური ხასიათისა, როგორც ამას ამერიკის პრესა ამტკიცებს. მღელვარების მიზეზია ირანის ეკონომიკის სულ უფრო მზარდი კრიზისი და მმართველი რეჟიმის სასტიკი რეპრესიები.

არავისთვის არ არის საიდუმლო, განაცხადეს ირანელ სტუდენტთა წარმომადგენლებმა, რომ ამჟამად ირანის მმართველი რეჟიმის უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენს. ამერიკის მთავრობამ გამოთქვა მზადყოფნა გაუწიოს ირანის ხელისუფალთ საჭირო დახმარება თანამედროვე იარაღითა და პოლიციური საშუალებებით დემონსტრაციების გასარეკად. პრესკონფერენციაზე დაასახელეს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო უკვე შეუდგა ოპერაციებს ირანის სამხედრო რეჟიმის განსამტკიცებლად. ამ მიზნით ირანში სწორედ სამხედრო მთავრობის შექმნის წინადღის ჩავიდა ორი თვითმფრინავი, რომლებმაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები ჩაიყვანა.

# იაპონელი სტუმრები თბილისში

თბილისში ჩამოვიდა იაპონიის წითელი ჯვრის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას საზოგადოების პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი კინიში კოიკე.

11 ნოემბერს დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრმა ო. ს. ცანავამ. ამავე დღეს სტუმრები ჩავიდნენ გურჯაანის რაიონში, სადაც გაეცნენ წითელი ჯვრის საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციის მუშაობას. ისინი ეწვევიან აგრეთვე ზოგიერთ სხვა რაიონს. (საქინფორმი).

„კომუნისტის“ ინტერვიუ

# წარსული — დღევანდელობას



## კომკავშირის პრემია - ხალხთა მეგობრობის მუზეუმს

ისტორიამ უამრავი ფაქტი შემოგვინახა, რომლებიც ქართველი ხალხის მოძმე ხალხებთან ურღვევ მეგობრობაზე მეტყველებს. ეს ფაქტები, გარდა იმისა, რომ სიამაყით გვავსებს, შესანიშნავი მაგალითია, რომლის მიხედვითაც უნდა აღიზარდონ მომავალი თაობები. სწორედ ამიტომ ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა ამ ფაქტების მოძიება-შეკრებას, მათს მეცნიერულ დამუშავებას, იმის ჩვენებას, თუ რა შეუძლია ძმობას, მეგობრობას, სიყვარულს... აი ეს გახლავთ ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ამოცანა, რომელსაც ხუთიოდე წელია მონდომებით ემსახურება მუზეუმის მთელი კოლექტივი.

დიდად დაფასდა მათი გარჯა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის შემოქმედებით კოლექტივს პრაქტიკული და მეცნიერული საქმიანობის მაღალ დონეზე წარმართვისათვის საქართველოს კომკავშირის პრემია მიენიჭა.

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთა სახელით მუზეუმის მთელ კოლექტივს მივულოცეთ მაღალი ჯილდო და რამდენიმე კითხვით მივმართეთ მუზეუმის დირექტორს, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატს თეიმურაზ ბალურაშვილს.

— ხალხთა მეგობრობის მუზეუმი საბჭოთა კავშირში პირველად თბილისში შეიქმნა. სხვათა გამოცდილებაზე დაყრდნობა არ შეგვეძლოთ. როგორ წარიმართა თქვენი საქმიანობა მუზეუმის შექმნისა და მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გაშლისათვის?

— მუზეუმის კოლექტივმა მუშაობა დაიწყო იმ ლიტერატურის შესწავლით, რომელიც ქართველი ხალხის სხვა ერებთან მეგობრობასა და ურთიერთკავშირს ეხებოდა მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ მიზნით ჩვენი მეცნიერი მუშაკები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში არქივებსა და მუზეუმებში იკვლევდნენ და სწავლობდნენ მრავალრიცხოვან მასალებს, ხვდებოდნენ პარტიისა და კომკავშირის, ომისა და შრომის ვეტერანებს, გამოჩენილ მოღვაწეებს, ეცნობოდნენ მათს პირად არქივებს, გამოავლინეს და შეისწავლეს უამრავი უნიკალური მასალა. ასე შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ბაზა და ამ ბაზაზე ხალხთა მეგობრობის იდეების პროპაგანდისა და მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის მძლავრი სამეცნიერო კერა.

— როგორ აისახა გამოფენებზე ხალხთა ურღვევი მეგობრობა და რა ექსპოზიციებს სთავაზობთ უახლოეს მომავალში დამთვალიერებლებს?

— მუზეუმმა თავისი პირველი გამოფენა მდელვარებით წარუდგინა დამთვალიერებლებს 1975 წლის 9 მაისს თემაზე: „ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობა მოძმე საბჭოთა ხალხებთან დიდ სამამულო ომში“. ექსპოზიციამ საყოველთაო მოწონება და აღიარება დაიმსახურა. დღემდე იგი დაათვალიერა 400 ათასზე მეტმა კაცმა, მათ შორის მრავალმა უცხოელმა სტუმარმა. გამოფენა შეიყვარა ჩვენმა ახალგაზრდობამ, ისინი მოდიან აქ და ფიცს დებენ, რომ სახელოვან მამა-პაპათა ღირსეული მემკვიდრენი იქნებიან.

ერთ-ერთ საექსპოზიციო დარბაზში, რომელსაც „დიდების დარბაზი“ ჰქვია, საზეიმო შეკრებები იწყობა. აქ ოქტომბრელებს პიონერთა რიგებში იღებენ, აქ გადასცემენ კომკავშირულ ბილეთებს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, იწყობა ღია გაკვეთილები, ლექციები. მუზეუმი ყოველ მნიშვნელოვან თარიღს უძღვნის ახალ თემატურ ექსპოზიციას. ასე მოეწყო, მაგალითად, გამოფენები „საქართველოს სსრ საბჭოთა ხალხებთან ერთად ძმურ ოჯახში“, „ლ. ი. ბრეჟნევი 70 წლისაა“ და სხვა. ახლახან დიდი ოქტომბრის რევოლუციის 61-ე წლისთავისათვის მუზეუმმა მოაწყო ორი გამოფენა თემებზე: „მოძმე ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა“ და „ქართველთა ახალშენი მოსკოვში“. ის უკანასკნელი აცოცხლებს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიულ ფესვებს.

მუზეუმმა თავისი არსებობის მანძილზე მოაწყო მრავალი მუდმივი და მოძრავი გამოფენა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

მუზეუმი ქადაგებს მეგობრობას და თავადაც მრავალი მეგობარი შეიძინა. შთაბეჭდილებათა წიგნს ბევრი გამოჩენილი ადამიანის ჩანაწერი ამშვენებს.

— როგორ იზრდება მუზეუმის შემოქმედებითი კოლექტივი და რა მიმართულებით მიმდინარეობს ამჟამად საკვლევაძიებო მუშაობა?

— ყოველი გამოფენის მოწყობა სერიოზული შემოქმედებითი პროცესია. თითოეული ექსპონატი თუ მასალა შესწავლასა და დამუშავებას მოითხოვს, უნდა განისაზღვროს, თუ რა მეცნიერული ღირებულება აქვს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, და ასეც ხდება. მუზეუმის მუშაკები სასოებით დაჰკანკალებენ გარდასულ საუკუნეთა სიგელ-გუჯრებს და ცდილობენ ექსპონატების მთელი სისრულით ამეტყველებას.

არსებობის მანძილზე მუზეუმის 12-კაციანი კოლექტივი 150-მდე გაიზარდა, ამჟამად თანამშრომელთა შორის სამი მეცნიერებათა დოქტორი და შვიდი მეცნიერებათა კანდიდატია, არსებული ფონდების საფუძველზე მომზადებულია და მზადდება კიდევ რამდენიმე დისერტაცია.

მუზეუმის თანამშრომელთა კალამს ეკუთვნის ექვსი მონოგრაფია და ასზე მეტი მეცნიერული სტატია და პუბლიკაცია. გამოიცემა მუზეუმის მუშაკების მეცნიერულ შრომათა პირველი კრებული.

ამჟამად მუზეუმში მეცნიერული მუშაობა რვა განყოფილების ხაზით მიმდინარეობს. ესენია რევოლუციამდელი და საბჭოთა პერიოდის ისტორიული, მეცნიერული, ლიტერატურული ურთიერთობის, ხელოვნების, სამეცნიერო ინფორმაციის, მეცნიერული პროპაგანდისა და ფონდების შენახვისა და აღნუსხვის განყოფილებები.

ჩვენი კოლექტივი ყოველმხრივ ცდილობს, რომ მუზეუმი თვალს ადევნებდეს და უწყობდეს დღევანდელ მოთხოვნებს, საამისოდ კი ახალი მეთოდებისა და ფორმების ძიება გრძელდება.

საუბარი ჩაიწერა **რ. მუხიგულაშვილმა.**

# ჩემპიონის საბრძოლო ფრე

ფეხბურთი

1978

## „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — 2:2

**თბილისი.** 11 ნოემბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 65.000 მაყურებელი.

მსაჯი — მ. კუსენი (ლვოვი).

„დინამო“: გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, სულაქველიძე, შენგელია.

„ტორპედო“: ზარაპინი, პრიგოდა, ჟუპიკოვი, ბუტურლაკინი, მირონოვი, პეტრენკო, ფილატოვი, ვასილიევი, იურინი, სახაროვი, ხრაბროსტინი (იაკოვლევი).

გოლები: სახაროვი (მე-16 წ.), გუცაევი (მე-20 წ.), შენგელია 24-ე წ.), პეტრენკო (77-ე წ.).

ეს იყო პირველი მატჩი, რომელიც თოთხმეტწლიანი შესვენების შემდეგ თბილისის „დინამომ“ ჩემპიონის რანგით ჩაატარა. მისთვის, როგორც თვით დინამოელები, ისევე მათი გულშემატკივრები, საგანგებოდ ემზადებოდნენ, ემზადებოდნენ ტორპედოელებიც... მაგრამ მოხდა ისე, რომ ტრავმის გამო მოედანზე ვერ გამოვიდა დავით ყიფიანი, რის გამოც 10-ნომრიანი მაისურით ამჯერად მოედანზე ვიხილეთ მცველი სულაქველიძე. მას, ისევე როგორც ერევნის „არარატთან“ შეხვედრაში, ეგრეთ წოდებული „ზვირთმჭრელის“ ფუნქცია დაეკისრა. ამ იძულებითი გადაადგილებების გამო „დინამოს“ თამაში ჩვეულ მონახაზს არ დაემთხვა. ნათელი გახდა, რომ ჩემპიონის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა მოედნის ცენტრში რიცხობრივი უპირატესობის შექმნა და ფლანგური გარღვევები, რაშიც შენგელიასა და გუცაევს აქ საგრძნობ დახმარებას უწევდნენ კიდეც კოსტავა და გ. მაჩაიძე.

მატჩის პირველი წუთები დინამოელთა შეტევებით აღინიშნა, რასაც მეტოქის კარში ქორიძის, შენგელიასა და სულაქველიძის სახიფათო დარტყმები მოჰყვა. მაგრამ, როგორც ეს იშვიათად არ ხდება, პირველი გოლი შეტევათა კარში აღმოჩნდა: საჯარიმოდან მოგერიებულ ბურთს დაეუფლა სახაროვი და იგი ძლიერი დარტყმით მეკარისაგან მარჯვენა, დაბალ კუთხეში მოათავსა. თითქოს, ის-ის იყო თამაშს ათანაბრებდნენ სტუმრები, რომ ამ დროს გუცაევმა მარცხენა ფრთაზე მეტოქეს ბურთი აართვა, გვერდი აუარა სამ მცველს და ძალზე უხერხული ადგილიდან ულამაზესი გოლი გაიტანა ზარაპინის კარში. გავიდა რაღაც ოთხი წუთი და „დინამომ“ მეორე გოლი იზეიმა. ამჯერად გ. მაჩაიძის მიერ საჯარიმო დარტყმიდან მეკარის მოედანში ჩაწოდებული ბურთი შენგელიამ გაახვია ბადეში.

ჩემპიონის უპირატესობით წარიმართა მეორე ტაიმის პირველი წუთებიც, მაგრამ შემდგომში „დინამომ“ რატომღაც უკან დაიხია და ტერიტორიული უპირატესობა „ტორპედოს“ დაუთმო. ამით კარგად ისარგებლეს სტუმრებმა და 77-ე წუთზე პეტრენკომ ზუსტი თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

შეხვედრის დამთავრებამდე დარჩენილი 13 წუთი დინამოელთა შტურმით აღინიშნა, მაგრამ დრო უკვე ცოტა იყო და ამასთანავე კარის აღების რეალური შესაძლებლობა დაკარგა შენგელიამ. საბოლოოდ აღინიშნა ფრე — 2:2.

მატჩის დასასრულს თბილისის დინამოელებმა გაჩირაღდნებულ სტადიონზე, გულშემატკივართა შეძახილებსა და ფეიერვერკში ჩემპიონის საპატიო წრე შემოუარეს. ამით 41-ე საკავშირო ჩემპიონატის ალამი დაეშვა.

**გ. ქოქიაშვილი.**

ჭადრაკი

## ერების ტურნირზე

**დღეს** ბუენოს-აირესში მთავრდება საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადა. ასეთი მძაფრი სიტუაცია კარგა ხანია არ შექმნილა. ჩემპიონობის შანსს ვაჟთა კოლექტივებში სამი გუნდი ინარჩუნებს და ამასთან განსხვავება მათ შორის მინიმალურია.

**უკანასკნელი, მეთოთხმეტე ტურის წინ 34 ქულით წინ არის უნგრეთის ნაკრები.** მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება საბჭოთა კავშირის გუნდი. უკანასკნელი გადადებული პარტია კანადელებთან ყაიმით დასრულდა — ვაგანიანმა ქულა გაიყო პიასეცკისთან. მესამე ადგილზეა აშშ-ს გუნდი — 33 ქულა.

**ვისთან ითამაშებენ ლიდერები?** ეს გამოირკვევა ბოლო ტურის დაწყებამდე 4 საათით ადრე, როცა წილისყრა მოეწყობა. ერთი რამ ცხადია, ისინი ერთმანეთს არ შეხვდებიან. მათ ადრე უკვე ითამაშეს. იმის გამო, რომ საბჭოთა ნაკრებს ნათამაშევი აქვს ოლიმპიადის ყველა დაწინაურებულ მონაწილესთან, ახლა მას რომელიმე საშუალო ძალის გუნდთან მოუხდება შეხვედრა.

## მოკლედ

**კალათბურთი.** სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებს თავისი ამერიკული ტურნეს მეხუთე მატჩი მოუწყია ნოტრდამის უნივერსიტეტის გუნდთან. აღსანიშნავია, რომ ეს გუნდი ამერიკის შეერთებულ შტატებში უძლიერესი მოყვარულთა კოლექტივია, რომელიც პროფესიონალთა საკლუბო გუნდებს უმზადებს შევსებას. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 90:75.

**მხატვრული ტანვარჯიში.** ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. ასპარეზობა დაიწყო გუნდური ტურნირით, რომელშიც სსრ კავშირის ნაკრები დაწინაურდა — 19,20 ქულა. საბჭოთა ექვსეულის კომპოზიცია არბიტრებმა 9,65 ქულით შეაფასეს, ხოლო შესრულება — 9,55 ქულით. მეორე ადგილზეა ბულგარეთის ნაკრები — 19,15 (9,65 და 9,50), მესამეზე — ჩეხოსლოვაკიისა — 19,00 (9,65 და 9,35).

პირად ასპარეზობაში სსრ კავშირიდან მონაწილეობენ 1977 წლის მსოფლიო ჩემპიონი ირინე დერიუგინა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გალინა შუგუროვა.

**ფეხბურთი.** ხარკოვის „მეტალისტის“ ფეხბურთელთა გუნდი გაისად პირველ ლიგაში ითამაშებს. ხარკოველებმა ეს უფლება მოიპოვეს ვორონეჟის „ფაკელთან“ პაექრობაში. პირველი მატჩი „მეტალისტმა“ მოიგო (1:0), მეორე — „ფაკელმა“ (1:0). ამ გუნდებს შორის გამარჯვებული გამოავლინა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმების სერიამ, სადაც უფრო ზუსტი ხარკოველები აღმოჩნდნენ. პირველი ლიგის დანარჩენ ორ საგზურზე პრეტენზიას აცხადებენ პავლოდარის „ტრაქტორი“, პერმის „ზვეზდა“, ნალჩიკის „სპარტაკი“ და ფრუნზეს „ალგა“.

## ტურის ბოლოთქმა

**გაიმართა** 41-ე საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის კიდევ შვიდი მატჩი:

„კაირატი“ — „სპარტაკი“ — 0:1,
„პახტაკორი“ — „დინამო“ (კ.) — 1:1,
„არარატი“ — „ზარია“ — 2:2,
„ნეფტჩი“ — „დინამო“ (მ.) — 1:1,
„ჩერნომორეცი“ — „ზენიტი“ — 3:0,
„შახტიორი“ — ცსკა — 1:2,
„დნეპრი“ — „ლოკომოტივი“ — 1:0.

მოსკოვისა და კიევის დინამოელებს ფრედ დამთავრებულმა მატჩებმა ვერც ერთი ქულა ვერ მოუტანეს, რადგან მათ ფრეთა ლიმიტი ამოწურული ჰქონდათ.

ამგვარად გაირკვა დანარჩენი ორი პრიზიორის ვინაობაც: ვერცხლის მედლები მოიპოვა კიევის „დინამომ“, ბრინჯაოსი — დონეცკის „შახტიორმა“.

ასევე გამოვლინდა უიღბლო გუნდი, რომელიც მომავალ სეზონში ვეღარ ითამაშებს უმაღლეს ლიგაში. ეს გახლავთ დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“. მის ნაცვლად მომავალ წელს უძლიერესთა შორის გამოვლენ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“, როსტოვის სკა და მინსკის „დინამო“, რომლებმაც პირველი ლიგის გუნდებს შორის სამი საპრიზო ადგილი დაიკავეს.

## გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თ. | 30 | 17 | 8 | 5 | 45-24 | 42 |
| „დინამო“ კ. | 30 | 15 | 9 | 6 | 42-20 | 38 |
| „შახტიორი“ | 30 | 16 | 5 | 9 | 42-31 | 37 |
| „დინამო“ მ. | 30 | 14 | 10 | 6 | 37-23 | 36 |
| „სპარტაკი“ | 30 | 14 | 5 | 11 | 42-33 | 33 |
| ცსკა | 30 | 14 | 4 | 12 | 36-40 | 32 |
| „ჩერნომორ“. | 30 | 12 | 10 | 8 | 41-26 | 32 |
| „ტორპედო“ | 30 | 11 | 11 | 8 | 36-29 | 30 |
| „ზარია“ | 30 | 9 | 8 | 13 | 38-44 | 26 |
| „ზენიტი“ | 30 | 9 | 8 | 13 | 31-46 | 26 |
| „პახტაკორი“ | 30 | 9 | 8 | 13 | 42-43 | 26 |
| „კაირატი“ | 30 | 9 | 7 | 14 | 29-41 | 25 |
| „ნეფტჩი“ | 30 | 8 | 7 | 15 | 28-39 | 23 |
| „არარატი“ | 30 | 8 | 6 | 16 | 20-42 | 22 |
| „ლოკომოტ.“ | 30 | 7 | 9 | 14 | 26-40 | 22 |
| „დნეპრი“ | 30 | 9 | 3 | 18 | 25-39 | 21 |

## „სპორტლოტოს“ ტირაჟები

**გაცნობებთ** 11 ნოემბერს გამართული „სპორტლოტოს“ 45-ე ტირაჟების შედეგებს:

**„49-დან — 6“: I გათამაშება** — 12 (წყალსამოტორო სპორტი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 41 (ჩოგბურთი), 46 (ჰოკეი), შეღავათიანი ბურთულა — 8 (კრივი);

**II გათამაშება** — 7 (ბიატლონი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 16 (ტანვარჯიში), 22 (ციგურები), 24 (თხილამური), 38 (მშვილდოსნობა), შეღავათიანი ბურთულა — 17 (მხატვრული ტანვარჯიში).

**„36-დან — 5“: I გათამაშება** — 1 (კალათბურთი), 6 (კლასიკური ჭიდაობა), 7 (ველოტრეკი), 11 (ტანვარჯიში), 29 (ტყვიის სროლა).

**II გათამაშება** — 9 (წყალბურთი), 25 (ციგაობა), 26 (სამბო), 33 (ფიგურული ციგურაობა), 36 (შაიბიანი ჰოკეი). (საკდესი).

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

## 12 ნოემბერი

**პირველი პროგრამით**

09.00 — „[illegible]“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.45 — [illegible] ფილმი, 10.00 — „[illegible] რუსული ენა“ (ფერადი), 10.30 — „ძალვიძარა“ (მოსკოვიდან), 11.00 — „ცეროდების ეკრანი“, 11.20 — „ტელეკურსელთათვის“ — ქართული ენა (ფერადი), 11.50 — კინოხარკვევი, 12.00 — „სტუმრად ზღაპართან“ — მხატვრული ფილმი „სადკო“. I ნაწილი (მოსკოვიდან), 13.10 — სატელევიზიო სპექტაკლი „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ (ფერადი), 14.20 — კინოჟურნალი, 14.30 — მუსიკალური კიოსკი (მოსკოვიდან), 15.00 — „ჩვენი სოფელი“ — სატელევიზიო პროგრამა, 15.45 — „კინოს მოყვარულთათვის“, 17.00 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“, 17.30 — საერთაშორისო პანორამა (მოსკოვიდან), 18.00 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 18.30 — კინოაფიშა, 19.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 19.30 — კინომოგზაურობის კლუბი (მოსკოვიდან), 20.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „საქმე მიჰყავს ზნატოკებს“. საქმე 13 — „მესამე გასროლამდე“. II ნაწილი. პრემიერა (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „წარსული წლების სიმღერები“.

**მეორე პროგრამით**

17.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „იყო ნამდვილი მედაფდაფე“ (ფერადი), 18.05 — დოკუმენტური ფილმი „ჩვენი ჩუკჩალა“ (ფერადი), 19.30 — მხატვრული ფილმი, 20.45 — დოკუმენტური ფილმი „კახტანგოვი“.

## 12 ნოემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გედის ტბა (დღისით), აიდა (საღამოს); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მუშანცის მარტვილობა (დღისით და საღამოს 54-ე საშუალო სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის, დასაწყისი 6 საათზე); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ვალსი (დღისით და საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩარლის დეიდა (დღისით), ლამაზელი (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — ზღვიერთის მზის დაბნელება საქართველოში; კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — ახალგაზრდა გვარდიის სახელით.



საქართველოს ალკა თბილისის კომიტეტი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია სპორტის სასახლეში 1978 წლის 15, 16, 17, 18, 19, 20 ნოემბერს პირველად ჩვენში!

„დისკოტეკა, დისკობოლი, დისკოჭოლი“

მუსიკა, მოგება, ცეკვა მაყურებელთა მონაწილეობით ანსამბლი „75“

მხატვრული ხელმძღვანელი რობერტ ბარძიმაშვილი

დამდგმელი რეჟისორები: ო. ლითანიშვილი, ო. შამათავა, ლ. ეროსთავი.

დამდგმელი ახატვარი: ო. შამათავა.

კოსტიუმების მხატვრები: მ. რემინეცი, კ. ზდანევიჩი.

დასაწყისი 20 საათზე.

ბილეთები იყიდება ცენტრალურ თეატრალურ და სპორტის სასახლის სალაროებში.

საკავშირო გაერთიანება „სოიუზატრაქციონის“ თბილისის დირექცია სთავაზობს თბილისისა და რესპუბლიკის ორგანიზაციებს სხვადასხვა საბავშვო გასართობ ავტომატს გადაიცემის წესით. მსურველებს გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგი მისამართით: თბილისი, მაიაკოვსკის ქ. № 4-ა, ტელეფონი 95-07-91.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საკავშირო პროფსაბჭოს „საქკურორტრემშენის“ ტრესტის მმართველი

**ნოდარ გრიგოლის ძე დევიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ეცნობიან ქართულ ხელოვნებას

### სსრ კავშირის დღეები ნორვეგიაში

**ოსლო,** 11 ნოემბერი. (საქინფორმი). ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში გაიხსნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოყენებითი ხელოვნებისა და ხალხური შემოქმედების დიდი გამოფენა. იგი ექსპონირებულია ნორვეგიის „ნავთობის დედაქალაქის“ უდიდეს საგამოფენო დარბაზში და მიმდინარეობს სკანდინავიის ამ ქვეყანაში სსრ კავშირის დღეების ფარგლებში.

გამოფენის გახსნაზე გამოსვლისას ნორვეგია-სსრ კავშირის საზოგადოების თავმჯდომარემ ხ. ევიენმა თქვა, რომ ეს დღეები ნორვეგიელებს შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევენ გაეცნონ სსრ კავშირის ხალხთა მრავალეროვნულ კულტურას. ისინი, ხაზი გაუსვა მან, ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას, საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

## საიუბილეო გამოფენა

**ბათუმი.** (საქ. კორ.) „საუკუნეთა და ათასწლეულთა განმავლობაში მანქიერი იზიდავდა ამიერკავკასია დამპყრობთა ურდოებს. ვის არ დაულაშქრავს ეს მიწა, მაგრამ ჭირ-ვარამმა ვერ მოდრიკა იგი, ვერ ჩაკლა მისი შემოქმედებითი ენერგია...“ ლ. ი. ბრეჟნევის ამ სიტყვებით იხსნება ბათუმის რევოლუციის მუზეუმში საიუბილეო ექსპოზიცია, რომელიც აჭარის დედა სამშობლოსთან დაბრუნების 100 წლისთავს ეძღვნება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის უნიკალური ფოტოები, რომლებშიც ასახულია „თავად ჭავჭავაძის ცხენოსანთა რაზმის შეტევა“, „ბერლინის კონგრესი“, „გურული მილიციის ქვეითი რაზმი“, „რუსთა ჯარების შემოსვლა ბათუმში“ და სხვ. აქვე გამოფენილია ჰ. აბაშიძის, მ. აბაშიძის, ხ. თხილაშვილისა და აჭარის სხვა პატრიოტთა პორტრეტები, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ისტორიული მისიის შესასრულებლად.

**მ. გორგილაძე.**

## ტურბაზა „შოვი“ 50 წლისაა

**ონი.** (საქ. კორ.). ტურბაზა „შოვს“ 50 წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე მისი კოლექტივი დაულალავად ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟებისა და კულტურული დასვენების კეთილშობილურ საქმეს. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდიან აქ ტურისტები და დამსვენებლები, რომელთა განკარგულებაშია მრავალი კოტეჯი, სასადილო და კლუბი, საცურაო აუზი და სპორტული მოედანი. მარტო წლეულს ტურბაზა 10 ათასზე მეტ დამსვენებელს მოემსახურება.

საქართველოს მთა-ბარში







## შემოდგომის მოტივები

ხ. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

—წყლის ონკანი, შემრევი თუ სხვა სახის ტექნიკური საქონელი დეფიციტად იქცა. როგორც წესი, იგი მაღაზიაში არ იშოვება, სამაგიეროდ გადამყიდველთან თავისუფლად შეგიძლიათ შეიძინოთ. როდემდე შევეგუოთ ასეთ გარემოებას? — გვეკითხება ინჟინერი ვ. ნოზაძე ამასწინათ რედაქციაში გამოგზავნილ წერილში. ავტორი თავის კორესპონდენციაში ვაჭრობის სფეროში, და კერძოდ, სანტექნიკური საქონლით ვაჭრობაში არსებულ ნაკლოვანებებს შეეხება.

რატომ დაეძებს მომხმარებელი ონკანს, რატომ არ იშოვება იგი?

ერთ-ერთმა მკითხველმა შეკითხვაზე ასე გვიპასუხა:

— წინათ, ვიდრე თბილისის ალმშენებლობა ასე ფართო ხასიათს

# წყლის ონკანისა და სხვათა შესახებ

## წერილი კომენტარით

მიიღებდა, დიდი, ხამსართულიანი სახლების ეზოებშიც კი ერთი ონკანი იდგა (ასეთი ეზოები ჯერ კიდევ შემორჩენია თბილისს) და მთელი ეზო იმ ონკანს ატრიალებდა... ერთი სიტყვით, აღნიშნული საქონლის წარმოების დონე შეესაბამებოდა მოთხოვნილებას.

ცხოვრება წინ წავიდა. საბინაო მშენებლობის ტემპი და მასშტაბები ძალზე გაიზარდა. მოთხოვნილებამ გადააჭარბა მიწოდებას. ამან დისპროპორცია გამოიწვია.

— სანტექნიკური საქონელი კავშირის მასშტაბითაც მკაცრად არის ლიმიტირებული, — განმარტა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სამრეწველო საქონლით ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა ჯ. ჩიჩუამ, — ჩვენი რესპუბლიკისათვის გამოყოფილი ფონდი მოთხოვნილების 20 პროცენტსაც ვერ აკმაყოფილებსო.

ასეთი პასუხი, ცხადია, მომხმარებელს ვერ დააკმაყოფილებს. მას აინტერესებს, თუ რა ზომებს იღებენ ვაჭრობის და მომარაგების მუშაკები მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ქალაქ თბილისში სანტექნიკური მოწყობილობებითა და სამშენებლო მასალებით ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების, სავაჭრო საწარმოების გამსხვილებისა და მათი დისლოკაციის სრულყოფის მიზნით, ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესაბამისად, მიმდინარე წლის მარტში შეიქმნა გაერთიანება „სანტექვაჭრობა“ (უფროსი ი. ლომიძე), რამაც ნაწილობრივად გააუმჯობესა სპეციალური საქონლის კონცენტრაციისა და მაღაზიების მომარაგების საქმე.

მაგალითად, მაღაზია „სანტექნიკა“ (გაერთიანების შექმნის შემდეგ აქ გადახალისდა კადრები, დაინიშნა ახალი გამგე, გაუმჯობესდა მომარაგება) გაერთიანების შექმნამდე ნაკლებად იღებდა სპეცსაქონელს. უკანასკნელ თვეებში კი სანტექნიკური ასორტიმენტის ნაირფეროვნებამ და რაოდენობამ საგრძნობლად იმატა.

უფრო საგულისხმო მაგალითის მოყვანაც შეიძლება: 1975 წელს მოახდინეს თბილისის 46-ე მაღაზიის (გამგე ლ. ბოსტაშვილი) სპეციალიზაცია, მაგრამ სპეცსაქონლის ფონდი მაღაზიას წლევანდელ მაისამდე არ მიუღია. მისი ფონდირება სამეურნეო საქონლით ხდებოდა, უგზავნიდნენ... გაზის ბალონებს, რომლებიც თბილისში თითქმის აღარავის სჭირდება. მაღაზიის სპეციალიზაციას მაშინ აქვს აზრი და აღწევს მიზანს, როცა დანიშნულებისამებრ მომარაგდება. ამ ორი მაგალითიდან ჩანს, რომ გაერთიანება „სანტექვაჭრობის“ შექმნამ ნაწილობრივ გააუმჯობესა სანტექნიკური საქონლით სპეციალური მაღაზიების მომარაგება, მაგრამ ეს ცოტაა და მომხმარებელთა მოთხოვნილებას მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს.

მომხმარებელი დღითიდღე სულ უფრო მეტად მოითხოვს თბილი და ცივი წყლის შემრევს, გაზის საცობიან ონკანს (15 მმ), კომპაქტიან უნიტაზებს, წყლის ვენტილს (15-20 მმ), კედლის მოსაპირკეთებელ ფილებს და სხვა დეფიციტად ქცეულ საქონელს.

იმ სანტექნიკური მოწყობილობებიდან, რომლის ფონდიც „სანტექვაჭრობისთვის“ არის გამოყოფილი, საქართველოს მრეწველობაზე მხოლოდ ფაიფურის უნიტაზები, პირსაბანები და მოსაპირკეთებელი ფილები მოდის, რომელსაც თბილკერამკომბინატი ამზადებს. მაგრამ ეს კომბინატიც ამ ასორტიმენტის ნაწარმს საჭირო რაოდენობით ვერ უშვებს.

სხვა რა შეგვიძლია ვთქვათ სანტექნიკური საქონლის ადგილობრივ წარმოებაზე?

— არაფერი. ადრე თბილისის ქარხნის ერთი საამქრო ამზადებდა ონკანებს, შემდეგ შეწყვიტა, — გაგვიმარტეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის რესპუბლიკური მრეწველობის განყოფილებაში. — ქარხნის ხელმძღვანელები ერიდებიან ასეთი ნაწარმის დამზადებას, რადგან დიდი ხარჯები და სპეციალური დანადგარები სჭირდება.

რა აზრი აქვს ასეთ კომენტარს, თუ ის მომხმარებლის ინტერესებს ვერ უპასუხებს?

დარგობრივად „სანტექარმატურა“ სსრ კავშირის საშენ მასალათა სამინისტროში შედის და მისი წარმოება და განაწილება ცენტრალიზებული წესით ხდება, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკაში რაიმე ღონისძიება არ დაისახოს გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად? მონდომების შემთხვევაში საქართველოს მრეწველობასაც ექნება სანტექსაქონლის სათადარიგო ნაწილების დამზადების შესაძლებლობა, რითაც შეღავათს მისცემდა მომხმარებელს.

რესპუბლიკის მთავარმომარაგება, ვაჭრობის სამინისტრო და ადგილობრივი მრეწველობა ის სამკუთხედია, რომელმაც სანტექმოწყობილობით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემა რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა გადაწყვიტოს.

**ნ. ნორაკიძე.**

ცხელ კვალზე

## შეიპყრეს მძარცველები

საშვიდნოემბრო ზეიმი, მხიარულება ტრადიციულად გვიან ღამემდე გრძელდება... შაუმიანის ქუჩაზე ღამის პირველ საათზე ორმა მოქალაქემ „ტაქსი“ გააჩერა და მძღოლს პეტრე-პავლეს სასაფლაოსაკენ წაყვანა სთხოვა. ტაქსისტმაც მანქანა სწრაფად შემოაბრუნა და გზას გაუყენა. ავტომობილი რკინიგზის გადასასვლელს რომ მიუახლოვდა, ერთ-ერთმა მძღოლს დანა გულზე მიადო და მანქანის გაჩერება უბრძანა. მძარცველებმა ტაქსისტს 20 მანეთი წაართვეს და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

თბილისის მსუბუქი ტაქსმოტორების მეორე ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლმა მ. ბიჩენოვმა ყველაფერი ეს ოცდაექვსი კომისრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას აცნობა. სასწრაფოდ შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი უბნის ინსპექტორების მილიციის კაპიტან ლერი მორჩილაძის, მილიციის უფროს ლეიტენანტ შალვა ყარმაზანაშვილისა და სისხლის სამართლის სამძებრო ინსპექტორის ლეიტენანტ შალვა წენგუაშვილის შემადგენლობით.

ოპერატიული ჯგუფი შემთხვევის ადგილს ათვალიერებდა, ამ დროს იმავე ადგილზე კვლავ გაჩერდა „ტაქსი“ და ბანდიტები მორიგი მსხვერპლის ძარცვას შეუდგნენ. მაგრამ მძარცველთა მეორე ცდა მარცხით დამთავრდა, ისინი მილიციის მუშაკებმა ადგილზევე შეიპყრეს.

მძარცველები, მოქალაქეთა ქონების ქურდობისათვის ადრე ნასამართლევი მელაანის ქუჩა № 10-ში მცხოვრები რაზმიკ აკოფის ძე ხანდილიანი და მელაანის ქუჩის მეორე შესახვევის № 13-ში მცხოვრები გურგენ აშოტის ძე მარქარიანი აღმოჩნდნენ. გამოუსწორებელი პარაზიტების საქმეს ოცდაექვსი კომისრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო განყოფილების მუშაკები იძიებენ.

**ბ. ლელაძე.**

## ზამთრის ფორმაზე

**თბილისის** გარნიზონის უფროსის ბრძანებით, გარნიზონის სასწავლებელი და დაწესებულებანი 1978 წლის 15 ნოემბრიდან გადადიან ზამთრის ტანსაცმლის ფორმაზე.

კომუნისტი | ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები — 99-93-03 93-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61 პროპა- [illegible] — 93-20-24 ... 99-52-46 ... მშენებლობის — 93-18-70 ... [illegible]

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 — № 13374 — საქართველოს კომპარტიის ც.კ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.